წელიწადი მეორე. ფასი ცალკე ნომრის 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი გზა

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ყოველკვირეული პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანო.

რედაქცია
თბილისი, ელისაბედის ქ., 200
რედაქტორი იღებს კვირა-უქმეების გარდა ყოველ დღე ნაშუადღევს 5-7 ს.
დაწუნებული ხელნაწერები ავტორს უკან არ დაუბრუნდება, აგრეთვე ხელნაწერების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას რედაქცია არ მართავს.
რედაქციის ტელ. 2-98
გამოდის ორშაბათობით.

ღიაა ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე.
მიიღება განცხადებები სტრიქონი ღირს 50 კაპ.
რედაქცია სთხოვს ამხანაგებს მოგვაწოდონ ლიანდაგიდან მასალები და წერილები საჭირბოროტო კითხვებზე.
დაბეჭდილ წერილების ავტორებს მიეცემათ გასამრჯელო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვენ გამოგზავნილ წერილზე ზედ წარწერით.

№ 17 თბილისი, ორშაბათი, 5 მაისი 1919 წელი. № 17

## სამაისო წერილები

### რომელთა მოთავსება უადგილობისა გამო ვერ მოხერხდა 1 მაისის ნომერში.

## მაისობა

პირველი მაისი, — ეს ყველა ერის მუშა ხალხის დღესასწაულია; პირველი მაისი, ეს საერთაშორისო პროლეტარიატის ბრწყინვალე დღესასწაულია, როდესაც ყველა ქვეყნის მუშები ერთი მეორეს ძმურად ხელს უწვდიან და საერთო ძმობა-ერთობა-სიყვარულის გამარჯვების ტაშს უმზადებენ.

დღეს უსამართლო და უკუღმართი კაპიტალისტური ცხოვრების რკინის დარაჯაკებში ჩამწყვდეული მუშები გაზაფხულის მშვენება ყვავილებით გულზე და ხელში, მწყობრად დარაზმულნი გამოდიან თავის სისხლით და ოფლით მორწყულ ქუჩებში და რევოლიუციონური ყიჟინით თავზარსა სცემენ თავის მოსისხლე ყვავ-ყორნებს, მათი სისხლით და ოფლით გაუმაძღარ, მსუნაგ ბურჟუაზიას.

შრომის და კაპიტალის ბრძოლის ქურაში გამოწრთობილ-გამობრძმედილი მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშები აღმდგარი, განახლებული მშვენება დიდებით აღფრთოვანებული ერთის აზრით, და ერთის სულით გაერთიანებულნი დღეს, თამამად თავაწეულნი გამოდიან ქუჩებში და კაპიტალიზმისაგან გაჯოჯოხეთებულ, ძველ ბურჟუაზიულ ქვეყანას სამართლიანობისაკენ, თანასწორობისაკენ და შრომის სამეფოსაკენ მოუწოდებენ.

და აი ამ ჟამად, როდესაც ბურჟუაზიულ ევროპას რევოლიუციის ცეცხლი თანდათან ედება, როდესაც შრომა და კაპიტალი გაერთიანებული წითელი და შავი ფრონტებით პირისპირ სდგანან და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ—საერთაშორისო მუშათა დღესასწაულს ერთი ათად უფრო მეტი აზრი, მეტი მნიშვნელობა და დიადი ისტორიული ხასიათი ეძლევა.

დღეს, როდესაც ერთ მხრივ გამარჯვებული იმპერიალისტები დედამიწის ზურგს და ნადავლს შუა იყოფენ, როდესაც მსუნაგი მგლები ჯერაც ერთმანეთში ვერ მორიგებულან და საეჭვოთ ხდება მათი მორიგება და მეორე მხრივ—ჯოჯოხეთურ პირობებში და ცეცხლში ჩავარდნილი, შიმშილით სულ-გამწარებული პროლეტარიატი თავ-განწირული იბრძვის ჯოჯოხეთური სინამდვილიდან თავის დასაღწევად და ძველი ბურჟუაზიული ქვეყნის ნანგრევებს თავისი სისხლითა რწყავს წითელი დროშებით შემკულ მაისობას, მუშათა ახალი ქვეყნისათვის დიდი და შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაცა ჰქონდეს.

დღეს, როდესაც რევოლიუციების ცეცხლი უფრო ფართოთ და ღრმად ედება ჯოჯოხეთად ქცეულ ევროპას, როდესაც მათ შუქზე ნათლად გამოსჩანს ძველი ქვეყნის უილაჯობა და უსუსურობა ახალი დემოკრატიული ცხოვრების მოწყობა-მოწესრიგებაში, როდესაც ისტორია და კაპიტალიზმზე დაყრდნობილი ცხოვრება იმ საბედისწერო ჩიხს მიადგა, საიდანაც გამოსვლა და ძველი გზით კვლავ სიარული შეუძლებელი აღმოჩნდა—მუშათა საერთო დღესასწაული საერთო ბრძოლის ყიჟინათ გადიქცევა, რომელიც მუქთა-ხორებს ნაგვიანევათ ნადავლზე მოარიგებს და წითელი საფრთხის წინაშე გაერთიანებულებს დარაზმავს.

ამიტომაც ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისათვის და დემოკრატიისათვის, რომელმაც სისხლით მოიპოვა რვა საათის სამუშაოსთან ერთად დიადი პოლიტიკური, სუვერენული თავისუფლება და დღეს გამარჯვებულის ყიჟინით ჩვენი გვარდია და ჯარი ჯაჭვ-გაწყვეტილი ამირანსავით მიერეკება დამარცხებულ ყვავ-ყორნებს,—მაისობას არა ნაკლებ დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღეს ჩვენ საერთაშორისო პროლეტარიატის პირველ მაისობასთან ერთად ვდღესასწაულობთ გმირულად მებრძოლ ჩვენი ხალხის გულის ვარდის,—გვარდიის—ბრწყინვალე გამარჯვებასაც შინაურ და გარეშე მტრებზე, რაც აორკეცებს ჩვენს საერთო სიხარულს და სადღესასწაულო აღფრთოვანებას.

დღეს გამარჯვებული ჩვენი მაისობა თავისი გამარჯვებული ყვავილებით და დროშებით იმ იმედსა ნერგავს ჩვენს გაერთიანებულ სულსა და გულში, რომ გარეთ გამარჯვებულნი შინაურ მძარცვავ-მგლეჯავ სპეკულიანტებსაც და ქურდ-ბაცაცებსაც მოუბრუნდებით,—ახლა რომ მომენტით სარგებლობენ და ისედაც დამშეულებს და შევიწროვებულებს სულს გვიჯოჯოხეთებენ,—და საერთო ძალ-ღონით შევიძლებთ ჩვენი შინაურული, ოჯახური საქმეების მოწეს-რიგებას ისე, რომ დავალპოთ მთლად ბოროტება...

დღევანდელი გამარჯვებული პირველი მაისობა გვირგვინია იმ შავ-ბნელი წარსულის სამაისო დღესასწაულებისა, რომლებიც ჩვენმა მებრძოლმა რევოლიუციონერმა პროლეტარიატმა გამოიარა.

დღეს ძველი მებრძოლი რკინის გზის და სხვა მუშები, რომლებმაც წარსულის ქარ-ცეცხლი და ჯოჯოხეთი თავზე გადივლეს, რომლებმაც პირველათ აღფრთოვანებულებმა 1900 წელს ნაძალადევის გორაკების გადაღმა მელის ტბასთან პირველათ აღმართეს სამაისო რევოლიუციონური დროშა, რომლებმაც 1901 წლის 22 აპრილს (ძველი სტილით მაისობა) თბილისის ქუჩები ალექსანდროვის ბაღთან თავისი სისხლით პირველათ შეღებეს, რომლებმაც ციხე-ციმბირი განიცადეს და აღფრთოვანებულ რევოლიუციონურ 1905 წელთან ერთად სუსხიანი რეაქციის შავი წლები და კატორღები გამოიარეს,—დღეს ეს მებრძოლები სიხარულის ცრემლებით მოიგონებენ ჯოჯოხეთს, მაგრამ ასე ნეტარ წარსულს, მოიგონებენ სამძიმო სასაფლაოზე ამ დღის გამარჯვებისათვის დაღუპულ, მრავალი მსხვერპლის ხსოვნასა და გულში ჩამარხულ ამხანაგების სახით და ქვეყნის მუშებთან ერთად კვლავ არწივისებურათ და მედგრათ დასცემენ ყიჟინას:

გაუმარჯოს მაისობას!..
გაუმარჯოს პროლეტარიატს!...
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ი. ირემაშვილი.

## შრომის დღესასწაული.

სიტყვა, წარმოთქმული ბელგიის სოციალისტის, შარლეროადან გაგზავნილ დეპუტატის ჟიულ დესტრეს მიერ ომიანობის დროს რომში ერთ-ერთ პირველ მაისის მუშათა მიტინგზე.

განა ჩვენ უნდა მივუმატოთ ამ პირველ მაისს ბრძოლისა და ტანჯვის ყველა მწუხარებას და უბედურებას გაკოტრება იმ იდეის, რომელიც ჩვენთვის ისე ძვირფასი იყო?

მე არ ვფიქრობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა დაიჩქარეს, უეჭველათ, როცა იძახდენ, რომ ინტერნაციონალიდან დარჩა მარტო მოგონებაო, რომ სოციალიზმის მნიშვნელობა დაეცა და საჭიროა უარვყოთ ის აზრი, თითქო პროლეტარიატს ექნება გავლენა მომავლის ბედზე.

ეს მეტათ გაბედული მსჯელობაა... რომ გავუწიოთ ანგარიში ამას, საკმაოა მოვიგონოთ, რომ კათოლიკეთა ეკლესიაც, რომელსაც ყველაზე უფრო უნდა ზავი, უძლურია ამ კატასტროფის აცილებაში.

რომ შევადაროთ რელიგიის დიდი ხნის არსებობა, მისი ავტორიტეტი, ორგანიზაციული მწყობრობა შედარებით ახალგაზრდა მუშათა კლასის ორგანიზაციულ ძალასთან, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ეკლესია უკან ჩამოუდგა სოციალიზმს.

გავიხსენოთ პირველ ყოვლისა, რომ პირველი მაისის დღესასწაული დაწესებული იყო ეკონომიური მოთხოვნილებათა დასადასტურებლათ და აგრეთვე საცნობლათ კანონიერ სამუშაო დღის მოთხოვნისა. შემდეგ ეს გახდა სიმბოლოთ მუშათა ცხოვრების პირობების ყველა ღრმა ცვლილებათა. ხოლო ღრმა ცვლილებები შესაძლებელია მხოლოთ მთელი ქვეყნის მრეწველობის დაპყრობით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალში მუშები კვლავ სიხარულით შეხვდებიან ზავს და საჭირო გახდება მუშათა კლასისთვის შეერთება ადგილობრივ ნაციონალურ და ინტერნაციონალურ ასოციაციებში.

მისწრაფება მთელი ქვეყნის მუშათა კლასისა ცხადია გამოიხატება იმ როლში, რომელსაც ისინი ითამაშებენ მომავალში და ეს მისწრაფება მჭიდროთ დაკავშირებულია პროლეტარიატის განვითარებასთან.

სხვათა შორის ამ მიზეზისა გამო საჭიროა დავტოვოთ ჩვენი რწმენა, საჭიროა ჩავაქსოვოთ შიგ ჩვენი იმედები.

მაგრამ პირველ მაისის მნიშვნელობა გაფართოვდა, მან დაისახა მიზნათ დაამყაროს ძმობა ყველა ხალხის, მოსპოს ომები და მათი შედეგების განადგურება.

ამ კითხვის შესახებ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენი ოცნება მეტათ მიუწდომელი იყო თანამედროვე კაცობრიობისთვის.

საჭიროა მაინც აღვნიშნოთ, რომ უძლურათ გამოცხადდა არა სოციალიზმის იდეა, არამედ ზოგიერთი პირები, რომლებიც ემხრობოდენ სოციალიზმის იდეას. თუ ინტერნაციონალმა განიცადა მშვიდობიანობისკენ თავის მისწრაფების დამარცხება, ეს მოხდა იმიტომ, რომ გერმანელი სოციალისტები გაიტაცა ნაციონალურმა იმპერიალიზმმა და უნდა ებრძოლათ.

რომ ყოველგვარი სოციალისტური დოქტრინა ვიხსნათ, დავიცოთ, საჭიროა გაქრეს ერთგვარი ადამიანის სისუსტე. სოციალისტური მოვალეობა მიღებული იყო ამ მხრით ერთ-ერთ კონგრესზე: მივიღოთ ყოველივე ღონის ძიება, რომ თავიდან აცილებულ იქმნას ომი; და თუ ომი მაინც გამოცხადდა, ვიმეცადინოთ, ვქმნათ, რის ქმნაც კი შეიძლება, რომ ჩქარა ზავი ჩამოვარდეს.

არაა საჭირო გავიხსენოთ, რომ ომის პირველ დღეებიდან ყველა ქვეყნის სოციალისტურმა პარტიებმა ქმნეს ის, რაც კი შეეძლოთ, რომ ომი აეცილებიათ თავიდან. ისეთივე სიჩქარით, როგორც მათმა მთავრობამ, ისეთივე აჩქარებით, როგორც საზოგადოებრივმა აზრმა, მათ ამოიღეს ხმა ომის წინააღმდეგ. არ შეგვიძლია დავივიწყოთ ომის წინა დღეებში, ივლისში, 1914 წ. ბრიუსელის კრება, სადაც ჩვენ უკანასკნელათ მოვისმინეთ კეთილშობილი ჟორესის მძლავრი ხმა. სოციალიზმის ძალამ იპოვა ამ სიტყვაში თავის დაფასება, თავის სიმართლე და აგრეთვე თავისი ბედიც.

ჩვენ დავინახეთ თავდასხმა ცენტრალურ სახელმწიფოებისგან. დანარჩენ ქვეყნის სოციალისტები იძულებულნი იყვნენ შეესრულებიათ თავიანთი ნაციონალური მოვალეობა და ამავე დროს არ ეღალატნათ თავიანთ რწმენისთვის და წარსულისთვისაც.

ჩვენ მივიღეთ ომი მხოლოთ იმიტომ, რომ ომმა გვასწავლა თავისუფლებისთვის სიკვდილი.

მართლაც ეს ომი თავზარ დამცემია და ჩვენ მებრძოლ ქვეყნების სოციალისტებმა უნდა ვიღონოთ ყოველივე ღონე, რომ ჩქარა დამყარდეს მშვიდობიანობა, და ამას ჩვენ შევსძლებთ.

ნამდვილი ზავი, რომელიც ჩვენ გვსურს და რომელიც უნდა ჩამოგდებული იქმნას, დამყარებული უნდა იყოს სიმართლის პრინციპებზე.

არც ერთ გულწრფელ სოციალისტს არ შეუძლია იფიქროს, რომ ანექსია და გამარჯვება კვერს დაუკრავს ხალხის სურვილის წინააღმდეგ ადამიანთა უფლების დარღვევას.

ნაციონალურ უფლებათა ყოველგვარი დარღვევა ატარებს თავის საშოში ახალ კონფლიქტთა თესლს.

როცა მდგომარეობა ნებას მოგვცემს აღვადგინოთ ევროპა ხალხის ნების მიერ გამომუშავებულ საფუძველზე, მაშინ დამარცხებული იმპერიალიზმი შეჩერდება, ველარ შეაწუხებს ქვეყანას ომის ცეცხლით, მაშინ სოციალისტები თვით გამოაცხადებენ ზავს.

აი ამიტომ, მიუხედავათ ყველა ამისა, ამ პირველ მაისის მოღრუბლულ დღეს ჩვენ მაინც ვიძახით:

— გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!.

# პირველი მაისი

(მოგონება)

ეჰ! რა ნეტარებით ვგებებოდენ მას მუშები 1907 წელში № ქალაქში. ალიხანოვის სუსხი, რომელმაც მუსრი გაავლო მუშათა ორგანიზაციებს და დემოკრატიას ცეცხლითა და მახვილით რგა[illegible]ვით მოლუნა 1905—1906 წლებში, უკვე განელებული იყო. დაქსასულმა მოწინავე მუშებმა კვლავ იწყეს ერთმანეთის მოძებნა და ორგანიზაციული მუშაობის გაჩაღება. რა თქმა უნდა ძნელი იყო მუშაობა, მაგრამ რევოლუციონურ ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი ჩვენი ბელადები, მათი ტაქტიკური მუდამ წინდახედული მუშაობა და მოწინავე მუშების თავ-განწირულება თავისას შვრებოდა და სულ ჩქარა, რადაც ექვსი თვის მუშაობის შემდეგ, კვლავ გაიჩარხა მუშაობა და ეს ქალაქი, როგორც სხვაგან, მუშურ ცენტრებში კვლავ მოიფინა ორგანიზაციებით ლეგალურ და არა ლეგალურ ნიადაგზედ.

საკმარისი იყო ოდნავი მოწოდება ორგანიზაციის სახელით და მთელი დემოკრატია მას მიუგებოდა. სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იყო ორგანიზაციები ამ ქალაქში, რომ მოახლოვდა პირველი მაისი, რომელსაც გულის ფანცქალით მოელოდა მუშები. პირველი მაისის წინა დღეა. მთელმა ქალაქმა იცის, რომ ხვალ მუშები დღესასწაულობენ ინტერნაციონალურ დღეს.

ზოგიერთი ვაჭრები, რომლებმაც ხვალ უნდა მიგეტონ დუქნები, ტროტუარებზედ გამომწკრივულან და ერთმანეთს ეუბნებიან: ვა, რადა ხვალ დღესასწაულობენ ეს ოხრები—საქმე დღეს, განა ზეგ, გვირას არ შეიძლებოდა ქუჩებში ჯირითი?

ჩვენც დავიდარაბაში არ ჩავცვივდებოდით, მაღაზიები დაკეტილი გვექნებოდა, ხვალ კი პრისტავი გვიბძანებს დუქნები ღია გვქონდეს და მუშაობა არ შესწყვიტოთ. ეს ოხერი ნეტავ—ეს პირველი მაისი სულ არ ყოფილიყო კალენდარში ან გავლილი იყოს მაინც.

მოლიბერალო მოსოციალისტო ხალხი, რომელსაც მოეკალათებია თითქმის ყოველ დაწესებულებაში, კი გაიძახოდნენ: სულელები და ჩერჩეტები არიან, განა პირველი მაისის უქმობით და ქუჩებში ჯირითით მოახდენენ რევოლუციას?

და თითონ კი მხოლოდ ქალებთან არშიყობით და ან სუფრაზე შეზარხოშებულნი აღსდგა თამარ დედოფლის სიმღერით და პატრიოტული სიტყვების რახარუხით ეგონათ რომ საქვეყნო საქმეს აკეთებდნენ.

დილის ცხრა საათია; გაბრწყინვებული მაისის მზე უხვად აფრის გამოცოცხლებულ სხივებს ქალაქის ქუჩებს. დუქნები სულ მიკეტილია. ბოქაული გოროდოვებით გაბრაზებული დარბის ქუჩებში და უწმაწურად იგინება, რატომ შეწყვეტილა ვაჭრობა და მუშაობაო. ბულვარი სავსეა ხალხით. ყველგან შეწყვეტილია მუშაობა, გარდა იმ დაწესებულებისა, სადაც ჩვენი მოლიბერალო მამულიშვილებს მოუკალათებიათ. პოლიციას გაუძლიერებია დამცველთა რაზმი და სცდილობს არავითარი მოძრაობა არ დაუშვას ქუჩებში. ამან ცოტა შეუშალა ხელი მუშებს მოეყვანათ თავიანთ [illegible] ში და აი აქ კი შეიქნა [illegible] რო გეგმის ცოტა [illegible] თვალების ასახვევათ. გამოჭყვეს რამოდენიმე ამხანაგი პატარა წითელი დროშით და გაუშვეს სულ უმნიშვნელო ქუჩით, მთავარი ძალა კი დარჩა იქ, საიდანაც უნდა დაძრულიყო უმთავრესი ქუჩისაკენ. პატარა ჯგუფმა ასტეხა ერთი აურ-ზაური, მეორე მხრიდან, საითკენაც მიაშურა ბოქაულმა მთელი თავის ძალით. სწორეთ ამ დროს დაიძრა უმთავრესი ჯგუფი მუშებისა და გაემართა რევოლიუციონური სიმღერებით; ხალხი თან და თან ემატებოდა. წითელი დროშა მაღლა აწეული ამაყათ დაფრიალებდა მღელვარე ხალხს. მიაწიეს პაღამდე სადაც ხალხი შეჯგუფდა, და გაიმართა მიტინგი. ტრიბუნაზე გამოჩნდა მუშა, რომლის მქუხარე რევოლიუციონური სიტყვები გულის სიღრმემდის სწვდებოდა ხალხს.

და აჰ სწორეთ იმ დროს, როცა ათავებ[illegible] და სიტყვას პირველ მაისის მნიშვნელობი[illegible] ახსნით, გამოჩნდა დორბლ მორეული ბოქა[illegible] ული გაძლიერებული რაზმით, ალყა შემო[illegible] არტყა ხალხს და მაითხოვა დაშლილიყვნ[illegible] და აღედგინათ წესიერება. იმ დამეს მაზე[illegible] დარების ჩვენებით დაატუსაღეს ორმოცამ[illegible] დე მუშა, რომლებსაც მწარედ დასცი[illegible] ნოდნენ პატრიოტი მამულიშვილები:

„სისულელისთვის ჩაჯდნენ ციხეშიო“.

კუპრაშვილი.

# პირველი მაისი

დღეს პირველი მაისია. კაპიტალი[illegible] ტური წარმოებით წელში გატეხილ[illegible] და ილაჯ გამოცლილ მუშათა კლასი[illegible] თვის ეს უდიდესი დღესასწაულია. მისთვის სამარადისო იმედის აღმძვრ[illegible] ლი და მუშათა იდეალების განსახ[illegible] რების, მისი ხორც-შესხმის სიმბოლო[illegible] ამ დღეს მთელი საერთაშორისო მ[illegible] შათა კლასის შეგნებული ნაწილი [illegible] ხუთულ ქარხანა-ფაბრიკებს, ნესტი[illegible] სარდაფებს თავს ანებებენ და ქუჩა[illegible] გამოდიან, რომ საკუთარი სიძლიე[illegible] მტრებს დაანახონ. ის პირის-პირ უ[illegible] გება უებრათ მათი სისხლის მწოვე[illegible] მყვლეფელ ბურჟუაზიას და იმ საფ[illegible] ვისაკენ მიუთითებს, რომელიც დღ[illegible] თი დღე მზადდება პროლეტარია[illegible] დაკოჟრებული ხელებით და სადაც ბ[illegible] რჟუაზიამ სამუდამოთ უნდა განის[illegible] ნოს შრომის სამეფოს დამყარების წ[illegible] ეს დღე მუშათა კლასს უღვივებს მ[illegible] მავლის იმედს, ნათლად აგონებს [illegible] ისტორიულ მისიას. ბურჟუაზიას [illegible] შიშს გვრის და მისი ბატონობის [illegible] სასრულისკენ მიუთითებს.

პირველ მაისს მუშათა კლასი დ[illegible] სასწაულობს მას შემდეგ, რაც მან სწორით შეიგნო თავისი დანიშნულ[illegible] ეხლა ბრწყინვალე მომავლის იმედ[illegible] ჩაქსოვილია მწარე მოგონება, რომელ[illegible] ამ დღესასწაულის—წმინდა იდეალ[illegible] სას, შეეწირა. რამდენი გულწრფელი [illegible] შის უმანკო სისხლია დაღვრილი ქუჩ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ჯანსაღი რევოლუციონერის ცხოვრებით ანთებული მუშაკი სამუდამოთ გამოასალმა სიცოცხლეს შავბნელმა გაბოროტებულმა რეაქციამ ბურჟუაზიის გრძნობების და შეშინებული გულის დასაწყნარებლათ.

ყოველივე ეს გვავალებს მომავლისკენ წინ სვლის, შრომის სამეფოს იდეის ცხოვრების სინამდვილეთ გადაქცევას და ამავე დროს ამ დღეს თან უნდა ვიგონებდეთ იმ ამხანაგებს, რომელნიც ზვარაკათ დაედევენ მუშათა ინტერესებს.

გაუმარჯოს პირველ მაისს.

გაუმარჯოს ბრწყინვალე მომავლის სოციალიზმს.

გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას.

ნეტარი იყოს ხსენება მუშათა ინტერესებისთვის თავდადებულ ამხანაგებისა.

ლ. უგლავა

# 1 მაისი

დღევანდელი დღე შრომის დღეა. პირველი მაისი მუშათა კლასის საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულია. დღევანდელ დღეს მთელი ქვეყნის მშრომელი კლასი სტოვებს თავის სამუშაო დაზგას, ახდენს თავის ძალების მობილიზაციას და ორგანიზაციან და ორგანიზაციულათ შეკავშირებულნი თავისი ლოზუნგებით და მოთხოვნილებებით ბურჟუაზიის-კაპიტალისტების წინააღმდეგ ირაზმება.

პირველი მაისი ლოზუნგის 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის მუშათა კლასის ბრძოლას მეტად ხანგრძლივი და მწარე ისტორია აქვს. ვინ იცის რამდენი გაჭირვება, რამდენი უბედურება და რამდენი მსხვერპლი აქვს გაღებული მუშათა კლასს აი ამ ლოზუნგის განსახორციელებლად.

პირველი მაისი ლოზუნგი განურჩევლათ ეროვნებისა, რწმენისა და მიმართულებისა ერთ დროშის ქვეშ უყრის თავს მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს და მოუწოდებს დღევანდელი ქვეყნის უპასუხისმგებლო გამგეების ბურჟუა-იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. დღევანდელ დღეს მუშათა კლასი მე-30-ჯერ დღესასწაულობს. საქართველოს დემოკრატია, მშრომელი ხალხი, პატარა თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავის დღესასწაულს პირველად ეგებება.

ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი შედარებით სხვა ქვეყნის მუშათა კლასთან უკეთეს პირობებში დღესასწაულობს თავის შრომის დღესასწაულს. ოთხი წლის იმპერიალისტების მიერ გამოწვეულმა საშინელმა ომმა, საშინელმა სისხლის ღვრამ მუშათა ინტერნაციონალი, მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის კავშირი დაშალა, დაასუსტა. დღეს კი საერთაშორისო მუშათა კლასი, პროლეტარიატი საერთო გამოფხიზლების ხანაში იმყოფება, უმაგლითოთ ომის გამო დაშლილი ინტერნაციონალი კვლავ სდგება,—მშრომელი ხალხის კავშირი კვლავ ინასკვება.

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის საერთო კავშირს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ვ. ცენტერაძე

# მძიმე ჯვარი.

განსაკუთრებული გულის ფანცქალით ეგებება ამ წელს საქართველოს პროლეტარიატი მუშათა ინტერნაციონალის დღესასწაულს.

მსოფლიო პროლეტარიატის პატარა მებრძოლ რაზმს დაკოჟრებულ ხელში მაღლა და მაგრა უჭირავს აზიის წინა კარებში წითელი დროშა და გააფთრებით იგერიებს მის ირგვლივ შემოსეულ აურაცხელ მტრებს, იმპერიალიზმისა და კონტრ-რევოლიუციის ყვავ-ყორანთა შემოტევას.

ეს რაზმი პატარაა, მაგრამ ძლიერია სულით, ნებით. მან იცის, რომ, არ შეუძლია გაუმკლავდეს მტერს ინტერნაციონალურ პროლეტარიატის დაუხმარებლათ, რომ მისი ბედი გადაწყდება არა აქ, კავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ ის ამაყობს იმ შეგნებით, რომ თავის სისხლით დაამტკიცებს ინტერნაციონალის ერდგულებას.

მთელი მისი ყურადღება, მთელი მისი იმედები მიპყრობილია იქითკენ, სადაც ახლოვდება უკანასკნელი სამკვდრო სასიცოცხლო შეტაკება გაუმაძღარ იმპერიალიზმსა და პროლეტარიატს შორის.

შესწევთ ძალა, გაიმარჯვებენ ამხანაგები?

და ზღვის ტალღებს მოაქვთ მძლავრი სუნთქვა ინტერნაციონალურ პროლეტარიატისა, ფრთას ასხამენ მის იმედებს, ღვთაებრივ სულს შთაბერავენ მტრებთან ბრძოლაში.

და აი ის შეუდრეკლათ, გმირულათ იბრძვის ამ სისხლის დღეებში, იკრებს მთელ თავის ძალა-ენერგიას მტრების მოგერიებისთვის, მაგრამ ამავე დროს საქართველოს პროლეტარიატს აქვს დრო ახსოვდეს, მას არ ავიწყდება, რომ დესპოტიზმთან ბრძოლაში გამარჯვება და ძალა უფლების მოპოვება ავალებს მას შექმნას, მოაწყოს არსებობისთვის საჭირო ეკონომიური პირობები.

თავის რკინის რევოლიუციონურ ნებაყოფლობის მეოხებით, მან შესწევს ძალა აღადგინოს დანგრეული მეურნეობა, ეს საძირკველი, ურომლისოდაც არ შეიძლება სოციალიზმის შენობის აგება, თოფიდან მანქანაზე, მანქანიდან თოფზე,—ასეთია მძიმე ჯვარი საქართველოს პროლეტარიატისა.

ყველა ძალები მტრების დასამარცხებლათ, ყველა ძალები ეკონომიური მომზადებისთვის სოციალიზმის მოლოდინში.

ფუჭია მტრებზე გამარჯვება, თუ არ გვექმნება შეძლება გავახორციელოთ მუშათა იდეალი.

საჭიროა ბრძოლა, საჭიროა შრომა, საჭიროა შემოქმედება!...

გამაგრდი, მოწინავე გმირთა რაზმო! ახლოა გამარჯვება!

ახლოვდება მეცხრე ტალღა!

ისპობა მონობა, მოდის ინტერნაციონალი!

ი. გოლდმანი.

# პირველი მაისის მოგონებიდან

პირველი მაისი! მუშათა კლასის დღესასწაული! ეს ისეთი სიტყვებია, რომელიც ყველა მუშას უტოკებს გულს, ყველა მუშაში იწვევს მთელ რიგ გახსენებებს. ყველა მუშა, რა ეროვნებისა და სარწმუნოებისაც არ უნდა იყოს ის და სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, ამერიკაში თუ ევროპაში, რუსეთში თუ იაპონიაში, ამ სიტყვების გაგონებაზე უსათუოთ მოიგონებს 8 საათის სამუშაო დღეს, მოიგონებს მუშათა მოძრაობის ისტორიას, მოიგონებს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას, მოიგონებს მუშათა კლასის მახლობელ და საბოლოო მიზნებს და ასე გადაეშვება ტკბილ ოცნებაში...

მაგრამ ჩვენ, რუსეთის თვითმპყრობელობის ჯოჯოხეთში გამოვლილთ, მუშათა დღესასწაული, პირველი მაისი გვაგონებს ბევრს რამეს საკუთარი ცხოვრებიდან, რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელი ნაწილების დიადი ბრძოლიდან. ის, ვინც მხოლოდ დღეს, თავისუფლების დროს იღებს მონაწილეობას მუშათა დღესასწაულში და სტკბება მისი სიდიადით, ვერც კი წარმოიდგენს თუ რა უჯდებოდა ჩვენ მუშათა კლასის მოწინავე ნაწილს მისი უქმობა რეაქციის ხანაში. ეს დღე მაშინ უთვალავ მსხვერპლს იწირავდა ყველა დიდ ქალაქებში, ამ დღეს იღვრებოდა სისხლი აქ თუ იქ, ივსებოდა ციხეები, იძენდენ ციმბირში სამოგზაურო უფასო ბილეთს და სხვა. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატს თავისას არ იშლიდა, ის ამ დღეს მაინც გამოდიოდა ქუჩაში და უთანასწორო ბრძოლას არ გაურბოდა. ბევრია ამ ნიადაგზე მოგონებანი, ცალკე ეპიზოდები. მე მინდა ახალგაზდა მუშებს გაუზიარო ერთი მათგანი.

1909 წელს ბაქოში ვცხოვრობდი. ეს ის დრო იყო, როცა კავკასიის პროლეტარიატის ამაყ მოძრაობასაც შეაკვეცა ფრთები ველურმა რეაქციამ, დააწვა მაჯლაჯუნასავით [illegible] არ აძლევდა. მუშათა [illegible] ჯერ ჩვევით აღარსად ჩანდა, მუშათა გაზეთების სიცოცხლე გაწყვიტეს. მოახლოვდა პირველი მაისი, რომლის ტრადიცია ბაქოში ისევე დიდი იყო, როგორც თვით პროლეტარიატი ამ ქალაქისა. ყველა ფიქრობდა, რომ მაზუთის პროლეტარიატი ამ დღეს არ დათმობდა და მაზუთის მეფეებს ერთხელ კიდევ აცნობდა, რომ „არ მომკვდარა“... რომ „კიდევ მოვა“.

ბაქოს ს. დ. ორგანიზაციის (მენშევიკების) კომიტეტმა დაადგინა მოუწოდოს მუშებს: რითაც არ დაუჯდეთ, იდღესასწაულონ პირველი მაისი, დაადგინა გამოაცხადოს გაფიცვა და პირველათ ყოვლისა დაამზადოს ამ დღისთვის ფურცელი. უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ სწორეთ ამ დროს ბალახანაში დაგვიჭირეს ერთად-ერთი სტამბა, ხოლო ლეგალურ სტამბებში, სადაც ხშირათ იქ მომუშავე ამხანაგების შემწეობით ვბეჭდავდით ხოლმე არალეგალურ ფურცელს ჩუმათ, ხაზეინების შეუმჩნევლათ, ეხლა შეუძლებელი იყო, რადგან ყველა სტამბებში თვალყურის დევნება იყო გაძლიერებული. აუცილებლათ საჭირო იყო სტამბის მოწყობა. ჩვენც, რაღა გზა გვქონდა, დავფაცურდით.

დურგალ ნიკო გოგინაშვილის სახელოსნოში დამარხული იყო ძველი სტამბის ზოგი ნაწილები, განსაკუთრებით შრიფტი. სხვა ნაწილები სტანოკისათვის ჩამოვასხმევინეთ სხვა-დასხვა ქარხნებში და სულ რამდენიმე დღის შემდეგ მზათ იყო ხელით საგორებელი (ბარაბანიანი) სტამბა. საჭირო იყო მხოლოდ კონსპირატიული ბინა. ამ მიზნით გავაკეთეთ ერთი პასპორტი ორ ახალგაზდასთვის თითქოს ცოლ-ქმარი იყვენ და მათ ვაქირავებიეთ თათრის სახლში ერთი მიგდებული ბნელი ოთახი. ვიფიქრეთ, ერთ კვირას ვერ გაგვიგებს სახლის პატრონი, დავბეჭდავთ და გადავიტანთქო, მაგრამ საკმარისი იყო ორი ღამის მუშაობა, რომ სახლის პატრონმა ეჭვი აიღო, საათის ორზე (ღამე) დაგვირახუნა და გვითხრა გამიღეთო. ხელათ ყველაფერი მივმალეთ, კარები გაუღეთ და ისე ვაჩვენეთ თითქოს ჩაიზე შემოვრჩი ახალგაზდა ცოლ-ქმართან ლაპარაკში, მაგრამ ჰასანამ მტკიცეთ გვითხრა: თქვენ აქ რაღასაც აწყობთ, მე გლახა კაცი არ ვარ და პოლიციას არ ვატყობიებ, მაგრამ გათენებისათანავე უნდა გაწმინდოთ ოთახიო. რაღა გზა იყო. შეუდექით ჩალაგებას კალათაში და ჩამადანში. ვუცდით გათენებას და ვფიქრობთ თუ სად წავიღეთ. ჩემი თანამშრომელი ახალგაზდა ვაჟი, ხელობით ასოთამწყობი იყო, საცა არ უნდა წავსულიყავით, ის მაინც უნდა წამყოლოდა. „ბარემ ჩემსა გადვიტანოთ, რაც მოგვივა, მოვივაო“,—თქვა

მან და დახია გაკეთებული პასპორტი. „მშვიდობით, ნატაშა! რა უდღეური გამოდგა ჩვენი ცოლქმრობა“-ო უთხრა სიცილით ამხანაგ ქალს და წავიდა ფაიტონის მოსაყვანად...

მთელი ექვსი თუ შვიდი ღამე გავათენეთ (დღე მეზობლები შემოდიოდნენ და არ შეიძლებოდა). ამხანაგის საწყალი, მოხუცი დედა არ დავაძინეთ (მხოლოდ ერთი ოთახი ქონდათ) და ასე ტანჯვით დავბეჭდეთ რამდენიმე ათასი ცალი ფურცელი. ყოველ ღამის ნამუშავარს დილასვე ჩავაბარებდით რომელიმე რაიონს. უკანასკნელათ 30 აპრილის დილაზე გავათავეთ ბეჭდვა და დანიშნულ ადგილს წავიღე უკანასკნელი შეკვრები. იქ მოვიდნენ და წაიღეს გარდა თეთრი ქალაქის რაიონისა (Бѣлый Городокъ). ამ რაიონის წარმომადგენელს ტყუილა ვუცადე ორ საათამდე და რადგან არავინ ჩნდა, ავდექი და თითონ წავიღე.

თეთრ ქალაქში მხოლოდ ნახევარი გზა მიდის (მავი ქალაქის ტერიტორია) ცხენის რკინის გზა. შემდეგ ოთხი ვერსი ლინეიკით უნდა გიარო. სიცხეა, ლინეიკაში ზურგით მიზიან მგზავრები, ხოლო გვერდში არავინ. ღამე ნათევს ძილი მეკიდება და... აი სიკეთეს! გვერდში ამოდებული ჩემი ფურცლები აკი გადმვარდნია! საჩქაროთ მიცემი თო შოფრიანი მელინეიკეს და გამოვყევი გზას იმ იმედით, რომ ახლოს იქნება და იპოვე ვერავინ მომასწრობთ. მაგრამ ამაოთ: თითქმის ვერსი გავიარე უკან, ვათვალიერე და არსად. ის იყო თავს ვანებებდი ძებნას, რომ შემდეგი ლინეიკა შემომხვდა, საიდანაც ორი პატარა მოწაფეები ერთად მიძახიან: „дядя, дядя! вонъ тамъ валяется у забора“-ო! ერთი შევკრთი, მაგრამ ჩქარა გამოვერკვი. მივხვდი მაშმე რაშიდაც იყო. ბავშვებს შეკვრი ეპოვნათ, ლინეიკიდან გადმოსულიყვნენ და წამოეღოთ, მაგრამ როცა გაეხსნათ და ენახათ რაც იყო, შეშინებულთ უმალვე გადაეგდოთ. შემდეგ როცა მე მომიახლოვდნენ და ნახეს რაღაცას ვეძებდი, მიცნეს პატრონათ.

გავიარე ცოტა და შევხედე აგერ აგდია კედელთან ჩემი ფურცლები. შარაგზას იმ მხარეზე ქვის ღობე მიყვება, ხოლო მეორეზე რკინის ლიანდაგი და ლიანდაგის იქით დუქნები და საცხოვრებელი სახლები შორი შორს. გარეთ გარეთ არავინ ჩანს გარდა ერთი „გოროდოვოისა“, რომელიც ნახევარ ვერსზე იქნება ქვევით. რავქნა, ავიღო თუ არა? იქნებ „გოროდოვოი“ განგებ დადგა შორს, იქნებ განგებ არ იხედება პირდაპირ და ჩუმათ უყურებს თუ ვინ მოვა ასაღებათ. ეჰ, რაც მოხდეს, სოფელს გადახდეს თქო და მივედი... ავიღე. მივდივარ და შიშით ვუმზერ, წესიერების დამცველს“... გავუხვიე ეზოდან, გზიდან და მოსახვევიდან უკანასკნელათ დავაკვირდი მას, მაგრამ ზაიბურშიც არა. „მადლობთ, ძმობილო“ თქო, გავიფიქრე გულში, მართლაც და მადლობის გრძნობა მისდამი და გავუდექი გზას. თავისუფლათ მხოლოდ ამოვისუნთქე და, გიჟივით სიცილი ავსტეხე, როცა შიბაევის სადნობი ქარხნის ერთი ქართველი მუშის ოთახში შეველ და ფურცლები მაგიდაზე დავაგდე...

კურიოზი მაინც მაინც ამით არ გათავდა.

მეორე დღეს, როცა ფურცლებიც გამოჩნდა და გავიცაც ფაქტი გახდა, პოლიციამ ალაღ იცოდა სიბრაზით რა ექნა. მასიური ჩხრეკა-დატუსაღება ყველა რაიონებში, ჩხრეკა-დატუსაღება იმ ოქროიდე კავშირში, რომელიც ცენტრალურ რაიონში კიდევ ღაფავდა სულს. მესულიან ხელმძღ... მუშათა კავშირშიდაც აგერ ექიდან მოყავსთ ათამდე მუშა და... ჩემი სამინელებავ მათ შორის ჩემი თანამშრომელი ასოთამწყობიც, რომელმაც სამი საათის წინათ მითხრა, რომ სტამბა და დაუშლელი „ნაბორი“ ისევ ტახტ ქვეშ მაქვს, დაღალული ვიყავ და ნუხელ ვეღარ გადავმალე სხვა ადგილზე, როგორც გადაწყვეტილი გვქონდაო. რაღა ვქნა ეხლა? ალბათ ყველა დაპატიმრებულების ოთახს გაჩხრეკენ. თვალწინ დამიდგა დედა-შვილი ზორკილებით კატორღისაკენ მიმავალი...

გაშტერებული მდგომარეობიდან გამოიყვანა მარიამ ბეჩუხმა, რომლის ქმარი (ასოთ-ამწყობი) დაპატიმრებულებში მოყავდათ. „რას გაშტერებულხარ, წადი ოთახში, აქ არ დაგატყვევონ“-ო. მე მას ჩემი საიდუმლოება ვუთხარი. ის მარჯვე ქალი იყო. გაიქცა, ხელახლა მეორე ამხანაგი ქალი წაიყვანა და წავიდნენ ადგილზე. იქვე ეზოში მისი ნაცნობი ოჯახი ყოფილიყო და მათ ოთახში დამალეს ყველაფერი პოლიციის მოსვლამდე...

ზ. დათიაშვილი.

---

## თბილისი, 5 მაისი 1919 წ.

სიძვირე და სასურსათო საკითხი მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ ევროპაში, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომელთაც მოხვდათ ომის ცეცხლიანი ფრთა.

სიძვირისგან გმინავს არა. თუ რუსეთი, გერმანია, ავსტრია, არამედ ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და სხვა...

ასე რომ სიძვირე და სასურსათო კრიზისი მარტო ჩვენში კი არაა, არამედ ის გახდა დღეს საერთო მოვლენათ.

რაა ამის მიზეზი?

ზოგს რომ ჰკითხო, გეტყვის, ეს სპეკულიანტების ბრალიაო. მართალია, სპეკულიანტები აქ არიან ასე თუ ისე დამნაშავე და მათი ალაგმვა საჭიროა, მაგრამ მარტო ეს სუბიექტიური მოვლენა არაა მიზეზი სიძვირის. სიძვირის მიზეზი უფრო ღრმაა, თორემ მარტო სპეკულიაციას ყოველთვის გავუსწორდებოდით.

საქმე ისაა, რომ ოთხი წლის ომმა გაანადგურა ქვეყანა, ათფრიაქა მსოფლიო მეურნეობა.

ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ჩავნთქეთ ის, რაც რამდენიმე წლების განმავლობაში დაგროვილი იყო.

თუ წინად მიწოდება სჭარბობდა მოთხოვნილებას, დღეს უკუღმა ტრიალებს საქმე: მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას 200—300 %-ტით. და, რასაკვირველია, ასეთ პირობებში ფასები ყოველთვის აიწევს ზევით მანამდე, სანამ მიწოდება მოთხოვნილებას, შორის დამოკიდებულება არ შეიცვლება. ეს გარდაუვალი კანონია ეკონომიკის.

ხოლო დღევანდელი დამოკიდებულება-მიწოდება მოთხოვნილების შორის შეიცვლება მაშინ, როცა ჩვენ შეძლებით დავაგროვებთ საჭირო სიმდიდრეს, ქონებას, როცა ჩვენში შემოვა სანოვაგე ბლომათ.

სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ დღეს ჩვენ ვჭამთ იმაზე მეტს, რასაც ვაწარმოებთ. ცხადია, თუ ამ გზით ვიარეთ, დეფიციტს ბოლო არ ექმნება, ეს კი პირდაპირი გზაა სიძვირის გაძლიერებისკენ.

მანეთს მაშინ აქვს ყიდვის ძალა, როცა არის ნაციონალური სიმდიდრე, როცა მხარეში აქვს ადგილი შემოქმედებას, როცა ჩვენ ვიღებთ სასყიდელს თანახმად ჩვენ მიერ შექმნილი ღირებულებისა.

რომ ჩვენში შემოვიდეს საჭირო სურსათი და სხვა საგნები, ამისთვის საჭიროა ჩვენც რაიმე მივცეთ სხვა ქვეყნებს, ეკვივალენტი, და ეს კი იქმნება მაშინ, თუ ჩვენ მოვიგროვებთ მთელ ძალა-ენერგიას, რომ რაიმე შევქმნათ, დავამუშავოთ.

სპეკულიაციას ელება ბოლო მხოლოთ მაშინ, როცა მხარეში საკმაოთაა სურსათი და სხვა საჭირო საგნები.

სპეკულიაცია აყვავებულია მაშინ, როცა მხარეში არაა საყოფი პირველ საჭიროების საგნები.

ამ მოვლენასთან ბრძოლა კი შეიძლება არა მარტო რეპრესიებით და ჯარიმა-შტრაფებით, არამედ წარმოების ისეთ დონეზე დაყენებით, რომ მიწოდება სჭარბობდეს მოთხოვნილებას.

ჯამაგირების მომატება ვერ უშველის მუშათა კლასს.

ვერ უშველის საქმეს აგრეთვე ვერც ნიხრი, ვერც სპეკულიანტების ციხეებში ჩაწყვდევა. პირიქით ეს ზომები უფრო გააფუჭებენ საქმეს, ვინაიდან მაშინ გაქრება სურსათი და მისი შოვნა შეუძლებელი გახდება მამა-სისხლათ.

საჭიროა შრომის ნაყოფიერების აწევა, წარმოების გონივრულად მოწყობა, გონივრული ბრძოლა სპეკულიაციასთან.

მთავრობამ, ქალაქის თვითმართველობებმა, სასურსათო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყოველივე ღონის-ძიება, რომ ცოტათი მაინც უზრუნველ-ჰყონ სურსათით დღეს გადაგვარების გზაზე დამდგარი მუშები.

ამ პოლიტიკას, როგორც შრომის ნაყოფიერების აწევას, აგრეთვე სურსათის მიწოდების შესახებ უკვე აწარმოებს ჩვენი მთავრობა, რამდენადაც კი შეუძლია ეს, და ჩვენი ვალია ამ საქმეში ჩვენივე ინტერესებისთვის ხელი შევუწყოთ მთავრობას.

საჭიროა მთავრობამ მიიღოს აგრეთვე ენერგიული ზომები, რომ არ დარჩეს არც ერთი გოჯი მიწა მოუხნელი და დაუთესველი სოფლებში.

დღეს ბევრი მუშები და გლეხები სპეკულიაციას ეწევიან, ხოლო მეურნეობა კი მიგდებული აქვთ განზე, რადგანაც ორი პურის გაყიდვაში უფრო მეტ ფულს იღებენ, ვიდრე მთელი დღე მუშაობაში, ბევრმა ხელი აიღო შრომაზე და შეუმავლობითი ოპერაციებს ეწევა, სპეკულანტობს. საჭიროა ყველა ესენი აილაგმონ და ძალა დაატანონ მათ იმუშაონ, ხელი გაანძრიონ, რაიმე შექმნან.

თუ ჩვენ სოციალისტებათ ვრაცხთ თავს, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სოციალიზმისათვის საჭიროა ეკონომიური პირობების მომზადება, საჭიროა წარმოების აყვავება, ტეხნიკის განვითარება, ქვეყნის ეკონომიური სიმდიდრის შექმნა. მხოლოდ ასეთ საძირკველზე აშენდება სოციალიზმი.

დროა ყველა ეს კარგად შევიგნოთ, ალღო ავუღოთ პირობებს და ჩვენივე საქმეს ჩვენვე მოვუაროთ, თორემ საშიშ დღეებში ვართ, კატასტროფა მოგველის, სახელმწიფო ვერ შესძლებს ასეთ პირობებში არსებობას, ხოლო საერთო კრახი კი განადგურებას გვიქადის ჩვენვე.

---

## † ჩვენი რაფიელი

კვირას, 27 აპრილს ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა საქართველოს დემოკრატიას ერთი საუკეთესო ამხანაგი, მუშათა კლასისთვის თავდადებული მებრძოლი და სასიქადულო რევოლიუციონერი რაფიელ ჩოხლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მაისის დიად დღესასწაულს ჩვენში ჩრდილი მიაყენა რაფიელის სიკვდილმა.

ამ დღეს საზეიმოთ განწყობილ-მორთული დემოკრატია აქვითინა, მწარე ცრემლით ატირა ამ სახალხო ტრიბუნის დაკარგვამ.

იმის მაგიერ, რომ ამ დიდებულ დღესასწაულზე გაგვეგონა რაფიელის მჭევრმეტყველი ენა, მისი მომხიბვლელი სიტყვები, ჩვენ გვესმინა შავი სიტყვები:

— რაფიელი მოკვდა.

ვინ იყო რაფიელი?

ჩვენს მუშათა კლასს ძალიან ცოტა ჰყავს ასეთი თავდადებული, ენერგიული, დაუზარებელი და საერთო საქმისადმი თავშეწირული პირები.

რაფიელი იყო სახალხო, მეტად მჭევრმეტყველი, ენაწყლიანი, მომხიბვლელი ორატორი.

გურია-იმერეთი, ქართლ-კახეთი, მუშათა უბნები, — ყველა იცნობს რაფიელს, ყველას მთელი საათობით უსმენია მისი ჭკვიანური, ლამაზი სიტყვა და არ დაღლილან. ასე იტაცებდა რაფიელის სიტყვა ყველას.

რაფიელი იყო საუკეთესო ორგანიზატორიც და როგორი დაბლა დაცემული, მიყუჩებულიც არ უნდა ყოფილიყო მუშაობა ორგანიზაციაში, სულ ერთია, საკმაო იყო მხოლოდ რაფიელის იქ გაჩენა და ორგანიზაციაც იწყებდა მუშაობას.

რაფიელი შთაბერავდა მას თავის სულს და გააცხოველებდა სულ მიჩუმებულ მუშაობას.

აი ასეთი მებრძოლი, ასეთი იშვიათი ადამიანი დაჰკარგა საერთოდ ჩვენმა დემოკრატიამ და კერძოთ საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ რაფიელ ჩიხლაძის სახით.

მშვიდობით, ამხანაგო რაფიელ! შენ წადი ჩვენგან, მაგრამ შენი ხსოვნა მუდმივი იქნება ჩვენს გულში.

ა. რ.

## † რაფიელ ჩიხლაძე

ჩვენი პირველი მაისი შეიმოსა ძაძით-შავით.

მუხთალმა სიკვდილმა არ გვაცალა ეს დიდებული დღე ჩაგვეტარებინა მხიარულად.

ულმობელმა სენმა სახადმა ასე მოულოდნელათ გამოგვტაცა ხელიდან ჩვენი საყვარელი ამხანაგი — დამფუძნებელი კრების წევრი, ძვირფასი რაფიელი.

მსხვერპლი, მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი...

აღარ აქვს საზღვარი მას...

რაფიელ ჩიხლაძეში დავკარგეთ ჩვენ არა თუ ერთი საუკეთესო ამხანაგი, არამედ ერთი შეუდარებელი ორატორი და ენერგიით სავსე მოღვაწე.

რაფიელს ვინ არ იცნობს?.. მას ჩვენ რკინისგზელებიც ვიცნობთ.

მოვაგონებ მხოლოდ თბილისის სადგურის ამხანაგებს რაფიელის გრძნობით სავსე სიტყვას, დამფუძნებელი კრების წევრების არჩევნების წინ წარმოთქმულს საქონლის სადგურის შენობაში.

მოვაგონებ ამხანაგებს რაფიელის მუშაობას სასოფლო კომისიაში და სოფლადაც.

დაუზარებელი მუშაკი ის ყველგან იყო, სადაც მას საქმე მოითხოვდა.

აი ასეთი მხნე, ასეთი გულწრფელი ამხანაგი აღარა გვყავს... რამდენ ალაგას ამ პირველ მაისისთვის ელოდნენ მას საბაასოდ, სააგიტაციოდ და მან-კი სამუდამოდ გამოგვეთხოვა.

უდროოდ, მოულოდნელია, ამხანაგო, შენი დაკარგვა... მაგრამ საქმენი შენი რჩებიან აქ სამუდამოთ. და დღეს ეს პირველი მაისი იყოს თავმდები იმისი, რომ ხსოვნა შენი არ ამოიფხვრება ჩვენი გულიდან.

ხ. დოლიძე.

## მდგომარეობა რკინის გზაზედ

მინამ რამეს გიტყოდე, თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობაშია რკინის გზა, მე მინდა ცოტა რამ აღვნიშნო წარსულიდან დღემდის, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ რკინის გზელები, რა ტანჯვა-დამცირებას იტანდნენ უუფლებობის გამო, რა ღვაწლი მიუძღვით მათ უფლებებისათვის ბრძოლაში და ან რა როლი უნდა ითამაშონ დღეს უფლების შესანარჩუნებლად.

ძველი რეჟიმის დროს ფეხ-ქვეშ იყო გათელილი რკინის გზელთა პიროვნება. ყურადღებას იქცევდა და ცხოვრების პირობებს იუმჯობესებდა მხოლოდ ის, ვისთვისაც მოსახერხებელი იყო მლიქვნელობა და ჯაშუშობა, ვინც ლაქიობდა და ფეხ-ქვეშ ეგებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა. პატიოსანი მშრომელი და კანონიერება-უფლებრიობის მომთხოვნი კი მხოლოდ დამცირებას განიცდიდნენ და ხშირად ციხეების და ცივქვეყნების მსხვერპლიც ხდებოდნენ. შეგნება უფლებისადმი თანდათან ფეხს იკიდებდა ფართო დემოკრატიაში, ამას ამხნევებდა მუქთა ხორათა მთავრობა და რომ სავსებით ჩაეკლა და ძირიანად ამოეგლიჯა დემოკრატიის გულიდან მუშათა მოძრაობის იდეები, უსასტიკესად ამძვინვარებდა თავის მოქმედებას და ვინ არ იცის, რომ ამ მძვინვარების მსხვერპლი ათასობით იწირებოდა მებრძოლ დემოკრატიის წრეებიდან, სადაც არა უკანასკნელი ადგილი ეჭირა რკინის გზელებს დიად რუსეთის რევოლუციაში. მე არას ვიტყვი რუსეთელ ამხანაგებზე, რადგან მათი მოღვაწეობის აღნუსხვა და დახასიათება ჩემს სუსტ ძალას აღემატება და ამისათვის სტატისტიკური ცნობებიც არის საჭირო. მე მინდა აღვნუსხო, რამდენათაც ამას შევსძლებ, რკინის გზელთა რევოლიუციონური მოღვაწეობა და მსხვერპლი ჩვენს რკინის გზაზედ. ყველაზე უფრო მედგარი და მსხვერპლიანი გამოსვლები ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ნიადაგზე, ეს რკინის გზელთა ორგანიზაციებიდან ხდებოდა. რა პოლიტიკურ კურსზე დადგებოდა რკინის გზა, მასზე იდგა მთელი მხარეც. მოიგონეთ ცხრაას ხუთის გაფიცვები იგანისში, ენკენისთვეში და უკანასკნელათ დეკემბერში, რომლის მამოძრავებელი ცენტრი თავის გადამწყვეტი მნიშვნელობით ჩვენი რევოლიუციონურ ბელადების ხელმძღვანელობით, რკინის გზელთა ორგანიზაციები იყვნენ. მოიგონეთ გმირულად დაღუპულნი ოლქიში, ფრანკენბერგი, ჟღენტი, კალაძენი, ცხრა მუშა ნაძალადევში დახოცილნი და სხვა მრავალნი და აგრეთვე ციხეებ-ცივ ქვეყნებში ნაწამებ-ნატანჯნი ასობით, და თქვენთვის ნათელი იქნება, თუ რა ღვაწლი მიუძღვის რკინის გზელებს უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში ათეული წლებით სხვა დემოკრატიასთან ერთად. რაც შეეხება ამ რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება გამაგრებისათვის ღვაწლს რკინის გზელებისა, ამაზე მე არ მჭირია წერა, რადგან ეს ყველასათვის თვალსაჩინოა, ეს ხდება თქვენს თვალ-წინ. მაშ ასე, ჩვენ გვაქვს რევოლიუციონური წარსული, გვაქვს წმინდა საკაცობრიო იდეალებისათვის მოღვაწეობის ისტორია, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად. მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს აუცილებელი და მძიმე მოვალეობა ყველა ამ რევოლიუციის მსხვერპლთა წინაშე, მედგრად და თავგანწირვით დავიცვათ ყველა რევოლიუციის მონაპოვარი. არსად, არც ერთ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური მდგომარეობა როგორც ჩვენშია. ამ პოლიტიკურ მდგომარეობის შენარჩუნება გამაგრებას შეუძლია ააყვავოს-აღორძინოს ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად და კულტურულად და შეგვიმოკლოს გზა აღთქმის ქვეყანაში შესასვლელად, რასაც სოციალიზმი ეწოდება.

ვიმეორებ, ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობას ესაჭიროება განმტკიცება-შენარჩუნება. მტრებს, რომლებიც ყოველ მხრივ გარს გვახვევია, არ სძინავთ და ცდილობენ ყოველი ჩვენი შეცდომებით ისარგებლონ და გამოგვგლიჯონ ხელიდან სისხლით მოპოვებული თავისუფლება. და რომ ჩვენ შევსძლოთ ჩვენი მოვალეობის შესრულება, არ გავხდეთ საწყევლ-საკრულავი ჩვენი მომავლისა, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ყოველ მხრივ შრომაა საჭირო. არ კმარა მარტო პოლიტიკით გატაცება, ეკონომიურ კითხვებსაც უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება და უნდა სავსებით შევიგნოთ რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროთ არის ერთმანეთზედ დაკავშირებული.

ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ზნეობით, შრომის უნარით და სახელმწიფოს განმტკიცება გაძლიერების და აღმშენებლობის შეგნებით. ჩვენ უნდა ავიდეთ იმ დონემდე მაინც სიმტკიცე — შრომის უნარით, რა სიმაღლეზეც სდგას ერთი შეხედვით უმნიშვნელო მწერი ფუტკარი, და მართლაც, რა ბეჯითი, რა თითით საჩვენებელი და სამაგალითო მისაბაძი იქნებოდა ჩვენი [illegible]სათვის, რომ ჩვენ შეგვძლებოდეთ ისე შეხმებულად შეთანხმებულათ და ჰარმონიულათ მოგვეწყობდეთ შრომის ორგანიზაციას ამ სახელმწიფოს აღმშენებლობის დროს, როგორც ეს უბრალო უმწეო მწერს ფუტკარს აქვს მოწყობილი და სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ მათ ხელს ვერ უშლის ვერავითარი დაბრკოლება გაჭირვებანი და კიდეც აღწევენ თავიანთ მიზანს. მათში ვერ იარსებებს ვერავითარი ზარმაცები, მოღალატენი, ქურდები, ყაჩაღები უსასტიკესად ისჯებიან ფუტკარისაგან. ზარმაცებს და მუქთა ხორებს ხომ სრულებით არა აქვსთ ადგილი ფუტკარის ოჯახში. ყოველ დღე გვესმის: რკინის გზაზე გავრცელდა ქურდობა, ყაჩაღობა, მექრთამეობა, ცუღლუტობა და სხვა. პირველ ხანებში ეს გაზვიადებული გვეგონა, მაგრამ სამწუხაროთ ეს მწარე სინამდვილე არის. შრომის ნაყოფიერება დაეცა, ჩივიან. არავის არ სურს მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. და ესეც სამწუხაროდ მწარე სინამდვილეა ორი წლის მაინც. თუ ეს ასეა, და რომ ეს ასეა, ამის მაგალითები სამწუხაროდ ბევრი გვაქვს ხელში, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდის, რომ ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას საფრთხე მოელის და მისი ზევიდან [illegible] (გარედან იქნება ეს თუ შიგნიდან): ჩამოდექით, თქვენ დროსა არა ხართ სახელმწიფოს მესაჭეობისათვის, ჩვენ უნდა დავუტრიალოთ. არავითარ საფრთხეს და შრომას არ დავერიდოთ და ერთიანათ აღმოვფხვრათ ყოველნაირი ბოროტება და უმოქმედობა ჩვენში და გავხდეთ სამაგალითო სხვა დარგის დემოკრატიისათვისაც.

უნდა ავწიოთ შრომის ნაყოფიერება ყველგან, არამც თუ რკინის გზაზედ. თუ შენ მატარებ ქვეშ მონტიორად ათი საათის მუშაობის დროს რვა შპალს სცვლიდი, უნდა რვა საათის მუშაობის დროს ექვსი უნდა გამოსცვალო, თუ ზეინკალი წინეთ ათ ბოლტს აკეთებდა, ეხლა რვა მაინც უნდა გააკეთოს; მუშა, თუ წინეთ ათას ფუთს დატვირთავდა, ეხლა ხუთასი მაინც უნდა გადმოტვირთოს; მემანქანენი და კონდუქტორები თავის დროზე უნდა გამოდიოდნენ და სცდილობდნენ თავის დროზე მიდი-მოდიოდნენ მატარებლები; მორიგე აგენტები უნდა ცდილობდნენ არ დაირღვეს წესი მოძრაობისა; ადმინისტრატორები მუდამ თავის ადგილზე უნდა იდგნენ და აწესრიგებდნენ საქმეს სრულ ავტონომიურად; ორგანიზაციებს უნდა ესმოდეთ თავის მოვალეობა და არ უნდა ერეოდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებში. ერთი სიტყვით, ყველა თავის ადგილზე უნდა იყვეს სრულის პასუხის მგებლობის ქვეშ. რაიონული კავშირის გამგეობები ხშირ-ხშირად უნდა მართავდნენ კრებებს ხალხმრავლობით, თავისუფალ დროს, სადაც უნდა არკვევდნენ ყოველ მოვლენას გზაზედ, აწყობდნენ ლექციებს, ეწეოდნენ პროპაგანდას, რითაც აწევენ თავიანთ წევრებს ზნეობრივ და კულტურულად. კრებებზედ დასწრება სავალდებულოა ყველა კავშირის წევრისათვის, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ შეუშლის ხელს. და აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირად შეიძლება მოისპოს გზაზედ მოტეხილობანი და აიწიოს შრომის ნაყოფიერება, საითკენაც მოგიწოდებთ რკინის გზელებს.

ლ. კუპრაშვილი

## პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის შესახებ

ამ დღეებში დასრულებულმა საქართველოს პროფეს. კავშირთა ყრილობამ ბევრი დიდი და სერიოზული საქმე გააკეთა, და ეს ყრილობა, დარწმუნებული ვართ, შესაფერ კვალს დასტოვებს ჩვენს ცხოვრებაში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ ყრილობა თავიდან ბოლომდე იდგა წმინდა ინტერნაციონალურ თვალთახედვის წერტილზე და ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზიდან. გაიხსნა ის თავმჯდომარის განცხადებით, რომ ჩვენს მუშაობაში ჩვენ მუდამ გვექნება მხედველობაში საერთო ინტერნაციონალური ინტერესებით, და დამთავრდა ინტერნაციონალის სიმღერით.

თვით ის რეზოლიუცია, რომელიც იყო გამოტანილი ბაქოელი ამხანაგების შესახებ, აშკარა დამამტკიცებელია იმის, რომ საქართველოს დემოკრატია სდგას მტკიცე ინტერნაციონალურ თვალთახედვის წერტილზე, იდგომება მუდამ ამ გზაზე, კიცხავს იმ ამხანაგებს, რომლებიც პირადი შურიმტრობით გაულენთილნი ლალატობენ ინტერნაციონალის წმინდა დროშას, და ამ საერთო ინტერნაციონალური საქმისთვის ის მუდამ თავგამოდებით იბრძოლებს.

ამხ. არსენიძის მოხსენება მომენტის შესახებ, რომლის თეზისებს სავსებით დაეთანხმა ყრილობა, აშკარა დამამტკიცებელია იმის, რომ ჩვენი მუშათა კლასი საერთაშორისო პროლეტარულ თვალთახედვით აფასებს წსოფლიო ამბებს და ამ მსოფლიო ბრძოლის პროცესში საქართველოს მცირე რიცხოვანი პროლეტარიატი მუდამ ერთად იქნება ინტერნაციონალურ პროლეტარიატთან. ის ემზადება, ირთვება, რომ იმ სანეტარო ჟამს, როცა მსოფლიოს სამრეკლოზე ჩამოკრავს სოციალიზმის ზარი, ჩვენს პროლეტარიატსაც შეეძლოს შესაფერათ შეხვდეს ამ დიად დღეს.

ყრილობამ იქონია მსჯელობა არა თუ მსოფლიო ამბებზე, ის დიდი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ბაქოს კონფერენციის მუშაობას, ემხაურებოდა და მხარს უჭერდა, ბრძოლაში ბათუმის პროლეტარიატს, რომელსაც შავი ძალები ციხეებით და ნაგაიკებით უმასპანძლდებიან დღეს. ყრილობამ განსაკუთრებული დელეგაციაც კი გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს და ინგლისის მისსიას ბათუმის ამბების გამოსარკვევათ.

გადავიდეთ ეხლა ყრილობის პრაქტიკულ მუშაობაზე.

აქ ყველაზე მეტი ყურადღების მისაქცევია ამხ. გოლდმანის მოხსენება შრომის ნაყოფიერების აწევისა და ხელფასის ნორმიროვკის შესახებ.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შრომის ნაყოფიერება თანდათან ეცემა, მუშა ვერ ქმნის იმდენს, რასაც იღებს, მაგრამ ამავე დროს ხელფასის ზრდა მეტათ რჩება უკან სანოვაგეზე ფასების ზრდას, რის გამო ძლიერი აქვს მუშების ბიუჯეტში დეფიციტი.

ხელფასის რკინის კანონის მიხედვით, წარმოების პატრონი მუშებს აძლევს იმ მინიმუმს, რომელიც საჭიროა მუშების ფიზიკურ არსებობის უზრუნველსაყოფათ.

დღეს ეს „რკინის კანონი“ სრულებით დარღვეულია.

ფიზიკურ არსებობის შესანარჩუნებლათ ყოველდღე მუშისთვის საჭიროა მცოდნე პირების გამოანგარიშებით:

ნახშირბადი (Углеродъ)—500 გრ.

ცილეულობა (бѣлк. вещества)—120 გრამმი.

ქონეულობა (жиров. вещ.)—60 გრ.

ეხლა კი მუშა ხარჯავს დღეში:

ნახშირბადს—249 გრამს.

ცილეულობას—52 გრ.

ქონეულობას—18 გრ.

ამ გვარათ დღეს საზოგადოთ მუშა სამჯერ ნაკლებ საზრდოს ხმარობს წინანდელთან შედარებით.

ოთხი წლის ომმა მოსპო, გაანადგურა ნაციონალური სიმდიდრე. ახალი ღირებულება კი არ შექმნილა.

ჩვენ ვცხოვრობთ წარსულში დაგროვილ ღირებულებათა ხარჯზე, მაგრამ ესეც ამოიწურა და ჩვენს თვალწინ სდგას კითხვა ეკონომიურ და ფინანსიურ სრული კრახის შესახებ. ამ კატასტროფას კი მოყვება მუშათა კლასის ფიზიკური განადგურება.

საქართველოს არ შეუძლია გამოკვებოს ყველა. სანოვაგის დიდ ნაწილს ჩვენ ვიღებთ საზღვარგარეთიდან.

რომ იქიდან შემოვიდეს საქონელი, საჭიროა აქედან მიეცეს რაიმე სამაგიერო, საჭიროა ეკვივალენტი, უნდა ჩვენც შევქმნათ რაიმე. აქ კი შრომის ნაყოფიერება დაცემულია, ჩვენ ვხარჯავთ იმაზე მეტს, რასაც ვქმნით.

მანეთს მაშინ აქვს მნიშვნელობა, სასყიდელი ძალა (покупательная сила), როცა არის ნაციონალური კაპიტალი, როცა სახელმწიფოს აქვს ნაციონალური წარმოება.

აი ამიტომ საჭიროა შრომის ნაყოფიერების აწევა და შექმნა რეალური ხელფასისა, რომ აღსდგეს დაცემული წარმოება.

მომხსენებელი ერთ ასეთ საშუალებათაგანს ხედავდა ნაჭრობითი მუშაობის შემოღებაში.

ყრილობამ სავსებით გაიზიარა მომხსენებლის აზრი იმ შესწორებით, რომ ნაჭრობითი მუშაობამ არ გააუქმოს 8 საათის სამუშაო დღის პრინციპი, ე. ი., ნაჭრობითი მუშაობა გასაკეთებელ საგნებთა მინიმუმ-მაქსიმუმის გამომუშავებით სწარმოებდეს მხოლოდ 8 საათის სამუშაო დღის ფარგლებში.

ასეთი რეზოლიუციის მიღება, ცხადია, ნაკარნახევი იყო მუშათა კლასის საზოგადო თვალთახედვის ისრითაც. თუ ჩვენ მივისწრაფით სოციალიზმისკენ და გვწამს, რომ სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მრეწველობის განვითარება მიაღწევს კულმინაციურ წერტილამდე, უნდა ვმეცადინეობდეთ კიდევაც, რომ არ დაეცეს წარმოება, ავიცილოთ თავიდან მოსალოდნელი ეკონომიურ-ფინანსიური კრახი და შევქმნათ ის ნაციონალური სიმდიდრე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს პროლეტარიატის ხელშივე უნდა გადავიდეს.

ამასთანავე ერთად ყრილობამ მოსთხოვა მთავრობას, რომ მან სასტიკი ზომები მიიღოს სიძვირის ერთი მეტათ ხელის შემწყობ მოვლენის, სპეკულიაციის წინააღმდეგ, და აგრეთვე მუშათა კლასის სურსათის მხრით უზრუნველსაყოფათ.

რომ ხელფასის საკითხი ერთგვარ ნორმებში იყოს ჩამოყალიბებული და ამ სფეროში არ ქონდეს ადგილი ანარქიას, ყრილობამ საჭიროთ დაინახა დაარსდეს ერთგვარი სატარიფო პალატა, რომელიც ხელფასის ზომას განსაზღვრავს მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

კიდევ ბევრი საყურადღებო საკითხები გაირჩა ამ ყრილობაზე, რომელთა სათითაოდ ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შეუდგებით ადგილობისა გამო.

დასასრულ ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც სხვათა შორის დაავალა ზედმეტი ორგანოს დაარსება, რომელიც აუცილებლათ საჭიროა პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულ მუშათა კლასისთვის, თუ გვინდა იყოს იდეური კავშირი პროფესიონალურ ორგანიზაციათა შორის და მაგარი ძაფები იყოს გაბმული ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ ყრილობის მუშაობა არ ჩაივლის უნაყოფოთ ჩვენი მუშათა კლასისთვის, დასტოვებს ის ჩვენს პროფეს. კავშირებში შესაფერ კვალს და ის ახალი ცენტრი, რომელიც ყრილობამ აირჩია 16 აპრილს, გამოდგება ნამდვილი ხელმძღვანელი ჩვენი პროფეს. კავშირების.

პლებეი

## რაფიელ ჩიხლაძის [illegible]

საქართველოს სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფ. კავშირის ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი ამხანაგის და მუშათა იდეალებისთვის დაუღალავ მებრძოლის რაფ. ჩიხლაძის უდროვოდ დაკარგვისა გამო და მთელი რკინის გზის დემოკრატიის აუწერელ მწუხარებას უერთებს საქართველოს დემოკრატიის და რესპუბლიკის მწუხარებას.

საქართველოს სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის ცენტრალური გამგეობა.

## რკინის გზის კავშირის ცენტრალურ გამგეობაში 27 მარტის სხდომა

**ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა:**

1. დარჩეს ძალაში ლნ—ს. მიერ შემუშავებული ნორმები ბინის ქირისა, რომლითაც კვადრატიულ საჟენი ღირს 2 მან. და ფასი მატულობს პროპორციონალურათ მისდა მიხედვით, თუ რამდენათ მეტია ზომით ბინა.

2. ეცნობოს ყველა ლჩ, რომ ისინი ყოველ 1 რიცხვში ადგენდენ სიას იმ პირებისას, თუ თვის განმავლობაში ვინ, სად, რომელ საქმისთვის, ვისი დავალებით და რამდენი დღით იყო კომანდიროვკაში. სიები დამტკიცებული იქნება ლნ—ის მიერ და საჭიროთანხაც გაეგზავნებათ რაიონებს.

3. ეთხოვოს გზის უფროსს მოგვაწოდოს სტატისტიკური ცნობები ორთქმავალების და კონდუქტორების ბრიგადების მუშაობის შესახებ.

4. ნაძალადევის კლუბის ეზოში ხეების დარგვის შესახებ ლნ საჭიროთ აღიარებს ამ გაზაფხულზედვე იქნას დარგული ხეები ნაძალადევის კლუბის ეზოში. დაევალოს ამხ. ნასიძეს სახელოსნოს რაიონის დახმარებით მოელაპარაკოს საჭირო პირებს და დაწესებულებებს, როგორც გეგმის შედგენის, აგრეთვე ნერგების შეძენის შესახებ და შემუშავებული ხარჯთ-აღრიცხვა წარმოუდგინოს ლნ—ს დასამტკიცებლად.

5. გადმოტვირთული მასალის მუშაობის დამთავრებაზე 8 საათის სამუშაო დღის შესრულების შემდეგ დატოვებისთვის გამოეცხადოს თბილისის სადგურის მუშებს საყვედური გაფრთხილებით, თუ მომავალში კიდევ იქნა განმეორებული ასეთი მიტოვება დაუსრულებელი მუშაობისა, დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდგან.

6. ლალიაშვილი, რომლის დათხოვას მოითხოვს ადმინისტრაცია, დატოვებულ იქნას თავის ადგილზე გაფრთხილებით, თუ მომავალში გაიმეორა ცუდლუტობა, დათხოვნილი იქნება სამსახურიდგან.

7. დათხოვნილ იქნან სამსახურიდგან კონდუქტორები რუხაძე და დემჩენკო უსაბუთოთ ვაგონში ბარგის დატვირთვისთვის. რუხაძეს წაერთვას უფლება რკინის გზაზედ შესვლის. მწონელს

კუჭუხიძეს გამოეცხადოს საყვედური სამსახურში დაუდევრობისათვის.

8. ა. კვლივევი, რომელსაც ბრალდებოდა პოლიტიკური არა სამეღლობა, ცნობილ იქნას უდანაშაულოთ და დაშვებულ იქნას სამსახურში შესაფერის ადგილზე.

9. დათხოვნილ იქნას სამსახურიდან კონდუქტორი თომა ქანიშვილი, რომელსაც ბრალდება ნივთით სპეკულიაცია.

### 23 მარტის სხდომა

**ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა:**

1. აირჩიოს კომისია, რომელშიდაც შევლენ ცენტრ. გამგეობის შრომის კომისია, და ყველა მთავარი დარგების სანგარიშო ნაწილების თითო წარმომადგენელნი. ეს კომისია შეიმუშავებს რიგს, თუ რომელ რიცხვებში რომელ დარგში მოხდეს ჯამაგირების დარიგება.

2. სამოსწავლო ნაწილს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე, რომ მასწავლებელს გერმანიშვილს მიეცეს 1.000 მ. სკოლის ფონდიდგან დაკარგული ნივთების ასანაზღაურებლად.

3. ცენტრ. გამგეობამ ნება დართო სამოსწავლო ნაწილს მისცეს სკოლის ფონდიდგან სახალხო უნივერსიტეტს 6.000 მ.

4. მიეცეს 1.000 მან. გვარდიის ფონდიდგან მარიამ ფუმიერაშვილს მისი ქმრის ერმილეს სომხების ომში მოკვლის გამო.

5. მიეცეს გვარდიის ფონდიდგან 1000 მანეთი ყოფილი გვარდიელის ნავროზაშვილის ცოლს მისი ქმრის იოსებ ნავროზაშვილის სიკვდილის გამო.

6. ვინაიდგან ალექსანდრე გოგვაძე ირიცხებოდა გვარდიაში, გაგზავნილ იქნა სომხეთის ფრონტზე, სადაც გაცივდა და გარდაიცვალა, მიეცეს მის დედას ელპიტა გოგვაძეს 1000 მან. გვარდიის ფონდიდგან.

7. დაკმაყოფილებულ იქმნას საექიმო სანიტარო ნაწილის გამგის შუამდგომლობა, რომ კავშირმა მიიღოს თავის თავზე სახადით გარდაცვალებული ექიმის ლოშხამურის დასაფლავებაზედ დახარჯული 93 მანეთი.

8. კახეთის გზის მოსამსახურეთა კავშირის შუამდგომლობის შესახებ, რომ გადასინჯული და გაუქმებული იქნას საქართველოს და კახეთის გზების შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ნავთლუხის და თბილისის მოსამსახურეებს ეძლევათ ჯილდო კახეთის მატარებლების მიმოსვლის გამო,—აირჩიეს კომისია, რომელშიდაც შევლენ თითო წარმომადგენელნი ორთავე კავშირებიდგან, ორთავე გზების ადმინისტრაციისაგან და ადგილობრივ რაიონული გამგეობისაგან, რომელიც გამოიკვლევს ამ საქმეს რის შემდეგ გამოტანილი იქნეს გადაწყვეტილება.

9. გამოეცხადოს საყვედური სამმართველოს ტელეგრაფისტს მოდებაძეს საჩქარო დეპეშის № 1035—21/II დაგვიანებისათვის გაფრთხილებით, რომ თუ მომავალში განმეორდა, გამორიცხული იქნება კავშირიდგან.

10. გამოეცხადოს სასტიკი საყვედური ლნ—ს დეპეშა № 1817—20/II დაგვიანების გამო ჩუბუნიძეს, ინწკირველს, მაჭავარიანს, ლეჟავას, კუხიანიძეს, თამაზარს, დალაქიშვილს გაფრთხილებით რომ განმეორებისთვის დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდგან.

11. თანახმად თბილისის ლნ. შუამდგომლობისა, აღმოეჩინოს კავშირის ფონდიდან 1000 მან. დახმარება სადგურის მუშის ჩხიკვაძის ობლებს დედ მამის სიკვდილის გამო.

12. გამოერიცხოს დამნაშავე პირებს მიხეილ ქათამაძეს, იაკობ თვალაძეს, დარაჯებს ელენტს და რამიშვილს ქუთაისის სადგურზე დაკარგული ცეცხლის ჩასაქრობი ნივთების ღირებულება.

13. ვინაიდგან გამოძიებიდგან გამოირკვა, რომ სადგურ მეტეხში დაშვებული იყო უწესოებანი სადგურის უფროსის თუხარელის და მის თანაშემწის ჩხეიძის მიერ, გამოეცხადოს პირველს სასტიკი საყვედური, ხოლო ჩხეიძე გადაყვანილ იქნას მეშვიდე უბანში თავის თანამდებობაზედ. უფროს კონდუქტორს წიქრაძეს, რომელიც სამსახურიდან გადაყენებულის სადგურის მორიგის შეურაცხყოფისათვის, დაშვებულ იქნას სამსახურში, გამოეცხადოს საყვედური გაცდენილი დროს ჯამაგირის მიცემით. ლნ. თბილისის შუამდგომლობა, რომ აღმოეჩინოს დახმარება მიხეილ გაბუნიას, როგორც დასნეულებულს.

14. მიეცეს მიხეილ გაბუნიას თანახმად თბილისის ლნ—ს შუამდგომლობისა, 500 მან. გვარდიის ფონდიდგან, როგორც თავისუფლებისთვის თავდადებულს მუშაკს და დასნეულებულს.

15. მიეცეს მაკრინე მიმინოშვილს გვარდიის ფონდიდგან ერთდროული დახმარება 1000 მანეთი მისი შვილის ნესტორ მიმინოშვილის სომხებთან ომის დროს მოკვლის გამო.

---

## რკინის გზელთა წერილები

**მოლარეები და ამწონლები.**

ნეტავი თუ სადმე ისეთი სამსახური, სადაც ამდენ ჩირქს სცხებდნენ ვინმეს, როგორც მოლარეებს და ამწონლებს. კატამ რომ კუდი გააქნიოს—მოლარეა, გამოაქანოს—მწონელია. ამას წინედ მგზავრი ედავებოდა ბილეთების მოლარეს: „შენ ჩემთვის პლაცკარტი არ მოგიციათ", მოლარე ეუბნებოდა: „მოგეცით" და სხვა. ასე ერთმანეთში გაიმართა ჩხუბი და მგზავრმა დააწერა საჩივარი წიგნში ჩაწერა, მაგრამ იმ დროს, ვხედავთ, იქვე მდგომი სხვა მგზავრი აწოდებს მოჩხუბარ მგზავრს ძირს ნაპოვნ პლაცკარტს და ეუბნება: „შეიძლება ეს პლაცკარტი თქვენი იყოს"-ო, და სწორედ რომ მისი გამოდგა. ასეთი მაგალითი ბევრია. ერთიდგან რომ მატარებლის რევიზორმა დეპეშა მოსცეს სამტრედიას, ბილეთები არ გაყიდოთო, მაშინ აქ ამბობენ: „მოლარემ არ მოისურვა და არ გაყიდა" და სხვ. განა მე ამით ვამბობ, რომ მოლარეებში და ამწონლებში არ იყოს უპატიოსნო და გაიძვერა პირები? არა, უეჭველად რომ არის. ამათში არიან ისეთნიც, რომელთაც ავადმყოფობად აქვთ გადაქცეული ზედმეტი ფულის და ქრთამის აღება. თუ რომელიმე დღეს ქრთამი ვერ აიღეს, მაშინ ვერ ისვენებენ და იმ დღეს დაკარგულად სთვლიან. ესენი, ნიკოლოზის დროს რომ შეგხვედროდათ, ამას გეტყოდათ პირში: „აბა, ძმაო", „ჯამაგირზე რა მაცხოვრებს, თუ სამთავარი არ მაქვსო". მაგრამ ეხლა ამას პირში ვერ გეუბნებიან და ისე კი მაშინდელზე უარესს სჩადიან. უწინ ისინი თავის დღეში არ გკითხავდნენ თუ რამდენი ჯამაგირი გქონდა, არამედ—ნამოსარჩენი ადგილი თუ არისო და სხვ. მაშასადამე, მე ვამბობ, რომ არიან ისეთი ელემენტები, რომლის წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვილაშქრებდეთ უეჭველად, მაგრამ, ჩემო პატივცემულო მკითხველო, ყველა ერთი ჯოხით არ გაიდევნება. არიან ამათში პატიოსნებიც. ამის გამო ზოგიერთა ყუბატონების საწინააღმდეგოდ ერთი საუკეთესო ნაბიჯი გადადგა სამტრედიის რაიონულ კავშირის გამგეობამ, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ არსდება საიდუმლო კონტროლი, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური მოქმედებებს რკინის გზაზე და ყველა ბოროტმოქმედნი სასტიკად უნდა დასაჯოს. სასურველია, რომ ამას მიბაძავდეს სხვაც. დეე, ქურდი და წუწკი ისჯებოდეს, მართალს კი ჩირქი არ ეცხებოდეს.

პოლე ეკუთელი.

---

**სად. თბილისის სანიტარულ მდგომარეობაზედ.**

სად. თბილისში და სახაზინო ბინებში, უმრავლეს შემთხვევაში, ფეხის ალაგები ან სულ დაკეტილია, ან და იმდენად გაბინძურებულია, რომ მათი სარგებლობა შეუძლებელი ხდება. ჩემის აზრით, იმ დროს, როდესაც სხვა გადამდები სენი ასე მძვინვარებს, ფეხის ალაგების დაკეტვა პირდაპირ მიუტევებელი დანაშაულობაა. პირიქით, ამ დროს მათი რიცხვი გადიდებულ უნდა იქმნეს, ვინაიდგან ამას მოითხოვს სანიტარული და ჰიგიენური პირობები. საზოგადოება, მოკლებული საშუალებას, რომ დაიკმაყოფილოს ბუნებრივი მოთხოვნილებანი, ყოველ შენობების კუთხეებზედ, კუნჭულებში და შარაზედაც აბინძურებს ისედაც ბინძურ სადგურს. ვიმეორებ, სასანიტარო პირობების გაუმჯობესებისათვის საჭიროა ფეხისალაგების გამრავლება და არა მათი შემოკლება.

ნეგი.

---

**ნოე ნიკ.-ძე ჟორდანიას**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა პირველი კონფერენცია გიცხადებთ თქვენ—დემოკრატიის სახელოვან ბელადს და რესპუბლიკის უზენაეს წარმომადგენელს თანამგრძნობას საყვარელ ვაჟის დაკარგვის გამო და იმედოვნებს, რომ ეს დიდი დანაკლისი ვერ შეასუსტებს თქვენს საზოგადო საქმისადმი სიყვარულს.

თავმჯდომარე რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა პირველი კონფერენციისა **ათაბეგი**

---

**დამფუძნებელ კრებას**

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა პირველი კონფერენცია, ულოცავს რა საქართველოს ხალხის ნების ყოფის გამომხატველს დამფუძნებელ კრებას ხალხის თვითმპყრობელობის დიდი ლოზუნგის თავისუფალ საქართველოში განხორციელებას, უსურვებს მას დემოკრატიის საკეთილდღეოდ ნაყოფიერ მუშაობას ყოველ დარგში და კერძოდ კი სახალხო განათლების საქმეში.

თავმჯდომარე რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა პირველი კონფერენციისა **ათაბეგი**

---

## კახეთის რკინის გზა

**პროფ. კავშირის გამგეობაში.**

4 აპრილის სხდომა

**ანდრიკა ჟორდანიას** გარდაცვალების გამო კავშირის გამგეობის სახელით გაეგზავნა ნოე ჟორდანიას შემდეგი სამძიმრის დეპეშა:

„მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას, პირი „ერთობას" და „ბორბას".

„კახეთის რკინის გზის დემოკრატია პროფესიონალური კავშირის ცენტრალურ გამგეობის სახით გულწრფელად იზიარებს, ამხ. მასწავლებელო, თქვენს ქსოდენ მწუხარებას და გამოსთქვამს მტკიცე იმედს, რომ ეს გამოცდა მუხთალ ბედისა ვერ შეძრავს, ვერ დაასუსტებს თქვენს მებრძოლ გულს და ვლადვინდებურად განაგრძობთ მოღვაწეობას დემოკრატიის საკეთილდღეოდ".

**რემონტის მუშები.** როგორც 1 უბნის უფროსის ბ-ნ ლეჟავას განცხადებიდან სჩანს, რემონტის მუშები არ თანხმდებიან 8 საათის მუშაობაზე. ისინი მოითხოვენ: ისე გვამუშავეთ, როგორც აქნამდე გვიმუშავია, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობას თავს დავანებებთო. აქნამდე კი მუშაობდე 7—7$\frac{1}{2}$ საათს. გამგეობამ დაადგინა: 8 ს სამუშაო დღე მტკიცედ უნდა იქნეს დაცული. ეცნობოს მუშებს დეპეშით, რომ მთავრობის ახალი განკარგულების თანახმად მათ აუცილებლად უნდა იმუშაონ 8 საათი. ამასთანავე მიეცეს წინადადება სექციას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საკითხი 8 ს. მუშაობის შესახებ გაარკვიოს სექციის კრებაზე და განუმარტოს მუშებს მისი ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა. ამ სექციის კრებას ცენტრ. გამგეობიდან უნდა დაესწრონ ვ. ნინუა, ა. ბალიარჯიშვილი და ი. კანდელაკი.

**განცხადება პიკლიცინის შესახებ.** კოოპერატივის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლეჟავამ განუცხადა გამგეობას, კოოპერატივის დათხოვილი უფროს ნოქარს პიკლიცინს შუამდგომლობა აღუძრავს სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირში, რომ რადგან ის უსამართლოდ არის დათხოვილი კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივიდან, ამიტომ უნდა მიეცეს მას სამი თვის ჯამაგირი. ამის გამო ხსენებული კავშირი გვწერს ჩვენ, რომ მივცეთ პიკლიცინს სამი თვის ჯამაგირი. გამგეობამ, მოისმინა რა ეს განცხადება, დაადგინა ეთქვას უარი კავშირს პიკლიცინის თხოვნაზე, რადგან პიკლიცინი დათხოვნილია სამსახურიდან, როგორც არა საიმედო პირი.

**ნატალია ჯავახიშვილის** ქვრივის თხოვნა, რომლის ქმარი გიგა დაიღუპა სამსახურის ასრულების დროს, გამგეობამ განიხილა 1 ვენის უფროსის ბ-ნ ლეჟავას თანადასწრებით და საჭიროდ სცნო აღმოუჩინოს მას დახმარება რითაც კი შესაძლებელია. თხოვნა გადაეცა ბ-ნ ლეჟავას და დაევალა მას, რომ მალე იქნეს დაკმაყოფილებული მთხოვნელი.

## რკინის გზის ამბები

**ახელოვის განკარგულებით.** სადგურ ტფილისის მეფარნე ბალანჩივაძე ნავთის გაყიდვისათვის გამორიცხული იქმნა სამსახურიდან აპრილის 11-დან.

— მოძრაობის უფროსმა ახელოვმა მოახდინა განკარგულება რომ [illegible] ლეიბები, გაგზავნილი ცენტრალური საწყობიდან ხაშურის მისამართით, აგრეთვე საერობო მართველობისაგან ფოთის ქალაქის თვითმართველობისათვის, ან იმათი ნებართვით, უნდა მიიღებოდენ და იგზავნებოდენ ყოველივე რიგს გარეშე და დაუბრკოლებლად. მთავრობის დადგენილება ეხება მხოლოდ კერძო პირებს.

## კავშირის ცხოვრება

1-ლ მაისიდან მეცადინეობა კავშირის ცენტრალურ გამგეობაში იქმნება 8 საათიდან 2 საათამდე.

## სამტრედია

რკინის გზის კლუბი, და სამკითხველოც ჩაიბარა რაიონულ კავშირთან არსებულმა კულტურულ განმანათლებელ სექციამ. კლუბი ძლიერ უყურადღებოთ აღმოჩნდა მიტოვებული და დიდ შეკეთებასაც მოითხოვს. ამ მიზნისთვის არჩეულია საგანგებო კომისია, რომელმაც უკვე შეადგინა სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა.

ბათუმიდან მომავალ მატარებლის № 256 9 აპრილს სუფსასა და სამტრედიას შუა ერთი ფქვილით დატვირთული ვაგონიდან ბოროტ-მოქმედებმა გაიტაცეს 44 ტომარა ფქვილი. სამტრედიაში ამ ცნობის მიღებისთანავე რკინის გზის კავშირის პრეზიდიუმმა დაავალა მის წევრს ამხ. მ. შენგელიას ყოველივე ზომები მიეღო ამ ბოროტ-მოქმედებათ აღმოსაჩენათ. ამხ. მიხა შენგელია ერთი აქაური მილიციონერით მაშინვე გაემგზავრა და მიაგნო კიდეც კვალს და აღმოაჩინა როგორც გატაცებული ფქვილი, ისე მისი გამტაცებელნიც.

გამოძიება სწარმოებს.

ამგვარი ენერგიული და ფხიზელი მოქმედებისთვის დიდი მადლობის ღირსია ამხ. მ. შენგელია და მისი დამხმარე მილიციონერი.

## რეზოლუცია მიღებული 1 მაისის მიტინგზე

1 მაისს ძმათა სასაფლაოზე გამართულმა მიტინგმა, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა რამდენიმე ათასმა ხალხმა, გაუგზავნა სალამი ამსტერდამში შეკრებილ სოციალისტურ კონგრესს და აგრეთვე მოუწოდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დემოკრატიას აიძულოს თავიანთი მთავრობები, რომ თბილისში შეკრებილი რესპუბლიკათა კონფერენციის დადგენილებანი არ ეწინააღმდეგებოდენ დემოკრატიის ინტერესებს.

## სამედიატორო სასამართლო.

30 მარტს 1919 წ. ქ. ფოთში შესდგა სამედიატორო სასამართლო. ერთის მხრით ფოთის რკინის გზის სადგურის უფროსის თანაშემწის ქ. ცხადაიასი, ხოლო მეორე მხრით — ამავე სადგურის [illegible] მოსამსახურეებს: ი. ჯაჯანიძეს, ქ. [illegible], გრ. მურღვაიას, ლიფონავას, ა. ხუნდაძე, კუჭაიძე, მ. სიხარულიძე და არონიშიძე—შორის იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო ქ. ცხადაიას მიერ გაზ. „თავისუფალი გზის“ მე-6 №-ში სათაურით „ვერ გავჩუმდები“.

დათხოვნილი მოსამსახურეები მოითხოვდნენ ქ. ცხადაიასაგან პასუხს: 1) ეხება, თუ არა მათ წერილში ნახმარი სიტყვები: „მექრთამეობა, ქურდობა“, და სხვა, 2) ეხება, თუ არა მათ იმ ფარულ კრებაზე მონაწილეობის მიღება, რომელიც შემდგარა ვითომც ფოთში გასულ წელს ბათომის დაცემის შემდეგ და სადაც შეუმუშავებიათ სია ჩამოსართმევ პირებისა იმ შემთხვევისთვის, როდესაც ფოთში თათრები შემოვიდოდნენ.

პირველი კითხვის შესახებ ქ. ცხადაიამ განაცხადა, რომ პირადად ის არავის მათგანს არ ეხება.

მეორე კითხვის შესახებ მოპასუხე ქ. ცხადაიამ განაცხადა, რომ თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც მას ხელთ აქვს, წერილში აღნიშნულ ფარულ კრებაზე მონაწილეობას დებულობდნენ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირები, გარდა ა. ხუნდაძისა.

სასამართლომ დაჰკითხა ქ. ცხადაიას მიერ დასახელებული მოწმეები და იცნო ბრალდება დაუმტკიცებლად.

თავმჯდომარე **ა. ინწკირველი**

მედიატორები { **გ. ოსაძე**, **თ. გორგასლიძე**, **გ. მგალობლიშვილი**

**ლ. ბ. ზოდელავა.**

## წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადო თბილისის კბილის საექიმო კურსების ყველა სტუდენტებს და კურსისტებს, რომლებმაც მომცეს მატერიალური დახმარება ჩემი ავადმყოფობის დროს.

კურსისტკა I კ. **ანნა პრაციშვილი.**

—

ამხანაგო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი: სამტრედიის რკინის გზის რაიონულ პროფესიონალურ კავშირთან არსებულმა მეომართა დამხმარე კომიტეტმა გამართა სადამო მეომართა სასარგებლოთ 1 მარტს. წმინდა შემოსავალი დარჩა 4805 მან. ანგარიშები შემდეგია: შემოსავალი: 1. ბილეთებიდგან—3867 მ., 2. ფოსტიდგან—520 მ. 50 კაპ., 3. აუქციონიდგან—1010 მან. 4. ბუფეტიდგან—418 მ. 50 კ., 5. შემოწირულება—19 მ. სულ 5835 მან. გასავალი: 1. ფოსტის მოსაწყობად—102 მ. 50 კ., 2. აუქციონის ხარჯები—160 მ., 3. ბუფეტის ხარჯები—263 მან. 20 კ., 4. დანარჩენი ხარჯები—704 მან. 50 კ. სულ 1229 მან. 80 კ. წმინდა შემოსავალი 4605 მ. 20 კ.

დიდი მადლობის ღირსნი არიან: ქნ. ქნ. [illegible] გოგიშვილისა, ოლია ბალანჩივაძე, მარ. ჩუბინაშვილი, თ. ნინიძე, მართ მაღნარაძე, ტ. სანიკიძე და სვიმჩევისა. ბ.ბ. რაჟდენ აბულაძე, დ. ასათიანი, ნიკო კალანდაძე, მამაჯანოვი, სამსეიშვილი და რკინის გზის მაღალ და დაბალ დაწყების სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს წევრნი.

მეომართა დამხმარე კომიტეტის თავმჯ. **ა. კორძაია.**

მდივანი **ნინო ძიძიგური.**

—

### საპასუხოდ ქუთაისის დეპოს მოსამსახურეების 1-ლ მარტის კრების თავმჯდომარეს

სამწუხაროდ მოვლენად ვთვლით, რომ ვიდაც კომისიის წევრებს და მომხსენებელ კოხრეიძეს დეპოელების კრების შემადგენლობა შეცდომაში შეუყვანიათ და ყოვლად უსაბუთო, ჩვეულებრივი ინტრიგანობით გამოწვეული, საზიზღარი ცილისწამება მოუთავსებიათ ჩვენზე „თავისუფალი გზის“ მე-12 №-ში. არავითარ დაკარგვას თევზისას და ბოროტმოქმედებას ჩვენს მიერ სასურსათ კომიტეტში ადგილი არ ქონია, რაც საბუთებით დამტკიცდება და არც ყოფილა იმდენა თევზი (კობრი), რომ სულზე ორი და მით უმეტეს 5—10 [illegible] გების შესაძლებლობა [illegible].

კარგად იციდენ დეპოელებმა, რომ კობრი იყო სულ 10 ფუთამდე და ნუ თუ ისეთი სუსტი წარმოდგენის არიან ციფრებზე, რომ კობრით დაკმაყოფილებული დარჩებოდა მხოლოდ „რამოდენიმე“, როდესაც რაიონის შემადგენლობის რიცხვი 7000? ამიტომ კობრი დარიგდა ისე, როგორც შესაძლებელი იყო და ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ თქვენ ნაირი წარმოდგენა ვერ ვიქონიეთ საქმეზე, ვერ გამოვიჩინეთ იესო ქრისტეობა და ხუთი პურით ვერ დავაკმაყოფილეთ რამოდენიმე ათასი სული.

თუ დეპოელებმა შენიშნეს, რომ ჩვენი კობრი, რომელიც ვითომ უსაბუთოდ დაკარგულიყოს, ბაზარში იყიდებოდა, ბოროტ-მოქმედებს თვით ამის მნახველ დეპოელებს ჩაუდენიათ, რომ ხელი წაუფარებიათ გამყიდველისათვის.

ასეთი საზიზღარი ცილისწამება ჩვენ არ გვაკვირვებს მას შემდეგ, როდესაც ჩვენ ვერ დავაკმაყოფილეთ თქვენი დაჟინებითი თხოვნა, რომ შემოგვეყვანა სასურსათო კომიტეტში უპასუხისმგებლო, თქვენგან ერთი წარმომადგენელი, ვინაიდან ამის უფლება ქონდა მასსიურ კრებას და არა ჩვენ, და თუ ეს არ ყოფნის სარჩულად თქვენს უმსგავსო კორესპონდენციას, იქონიეთ მოქალაქეობა, გამოიჩინეთ და საბუთებით დაამტკიცეთ ბრალდება, მხოლოდ კოვზი ნაცარში არ ჩაგვირგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ პასუხი სხვა გზით მოგთხოვოთ და გიწოდოთ შესაფერისი სახელი.

ქუთაისის სასურს. კომიტეტის ყოფილი თავმჯდ. მაგიერი **ვიქტორ არსენიძე**

საწყობის გამგე **ბ. ჩხენკელი**

მოლარე **მ. ლ[illegible]**

რედაქციისაგან: რედაქცია სწყვეტს ამ საკითხზე ლაპარაკს და მოუწოდებს მხარეებს გაიხწორდნენ ერთმანეთში საამხანაგო სასამართლოთი.

—

თბილისის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მე-5 რაიონის კულტურულ-განმანათლებელი კომისია ამით მადლობას უძღვნის სიმონ და ნინა გურგენიძეებს, რომელთაც თავისი გარდაცვლილ შვილის რკინის გზის კონტორის მოხელის ნიკოლოზ გურგენიძის ხსოვნის აღსანიშნავად ამავე რაიონის სამკითხველოს შემოსწირეს წიგნები და ჟურნალები რიცხვით 146 ცალი.

კულტ. განმანათლ. კომისიის თავმჯ.

**ვ. ხურიძე**

**დავკარგე** პირადობის ვინაობა (паспортъ) აგრეთვე მოწმობა უმთავრეს სახელოსნოს დაწესებულებიდან მოცემული, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. მპოვნელს ვთხოვ მომიტანოს მთავარ სახელოსნოების სამჭედლო ცეხში პოლიკარპე გადაბაძეს.

**სარედაქციო კოლეგია.**

გამომცემელი: კავშირის ცენტრალური გამგეობა. ს-ქართ. რკ. გზ. სამმართველოს სტამბა-ლიტოგრაფია